

**შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის  
სამედიცინო დახმარების სერვისის  
დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სამედიცინო დახმარების სერვისის წინამდებარე დებულება ადგენს სერვისის ძირითად მიზნებს და ფუნქციებს, პერსონალის მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს და სხვ.
2. სამედიცინო დახმარების სერვისი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, და წინამდებარე დებულებით.
3. სამედიცინო დახმარების სერვისი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც პირდაპირ დაქვემდებარებაშია ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.

**მუხლი 2. სტრუქტურა**

1. სამედიცინო დახმარების სერვისს ხელმძღვანელობს ექიმი.
2. სამედიცინო დახმარების სერვისის თანამშრომლებს კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი ბრძანების საფუძველზე.
3. ექიმი ანგარიშვალდებულია რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.
4. სამედიცინო დახმარების სერვისში შედიან ექიმი და მედდა.
5. ექიმის არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული პირი.

**მუხლი 3. სამედიცინო დახმარების სერვისის მიზნები და ფუნქციები**

სამედიცინო დახმარების სერვისის მიზნები და ფუნქციებია:

1. სტუდენტებისა და უნივერსიტეტში დასაქმებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
2. პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად უზრუნველყოფა;
3. არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება;
4. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება.

**მუხლი 4. ექიმის ფუნქციები**

ექიმის ფუნქციებია:

1. ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო დადგენილებებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, შენარჩუნება და აღდგენა;
2. კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტში, ეპიდემიოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლი;
3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას, ინფორმაციის წერილობითი ასახვა და შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნა გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ;
4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა;

5. სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო რესურსის შესაძენად, წერილობითი მოთხოვნის წარდგენა უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურაში;
6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

### **მუხლი 5. მედლის ფუნქციები**

მედლის ფუნქციებია:

1. ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო დადგენილებებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, შენარჩუნება და აღდგენა;
2. საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების აღმოჩენა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისთვის;
3. უფროსი ექიმის მითითებების შესრულება;
4. საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო ბრიგადის გამოძახება;
5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.

### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი**

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება უნივერსიტეტში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი სამედიცინო დახმარების სერვისის დებულება/მარეგულირებელი წესი.
3. სამედიცინო დახმარების სერვისის პერსონალი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე დებულებას და შეასრულოს მისი მოთხოვნები. ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი.
5. წინამდებარე დებულების დამტკიცება, დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს სამედიცინო დახმარების სერვისის წარდგინებით.
6. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე.
7. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
8. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს სამედიცინო დახმარების სერვისის ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.
9. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.